

**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის
ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული საკონკურსო განცხადება**

ქალაქი ფოთის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს ქალაქ ფოთის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით.

საკონკურსო განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის მიღება იწყება 2023 წლის 21 ივნისს ხოლო მთავრდება 2023 წლის 10 ივლისს 17 საათზე;

საკონკურსო განცხადების (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე) მიღება ხდება შემდეგ მისამართზე: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №12.

კონკურსის მოწყობის ადგილია ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N12, 2023 წლის 17 ივლისი 9:00-დან 18:00-მდე.

საკონკურსოდ წარმოდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალება შეფასდება ნებართვის მაძიებლის კონკურსში დაშვებიდან (2023 წლის 12 ივლისიდან 14 ივლისის ჩათვლით) შესაბამისი გეგმა-გრაფიკით, შემდეგ მისამართზე: ქალაქი ფოთი გეგმის ქ. №12;

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ. გვერდი <http://www.poti.gov.ge>. ან დარეკეთ შემდეგ ნომერზე (0493) 22-10-56. საკონტაქტო პირი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის, ტრანსპორტის განყოფილების უფროსი იაგორ რომანაშვილი.

წერილობითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოითხოვოთ შემდეგ მისამართზე: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №12, ტრანსპორტის განყოფილება.

კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია წარმოდგენილ სატრანსპორტო საშუალებაზე დასასაქმებელი კონტინგენტის (მძღოლების) შერჩევისას უპირატესობა მიანიჭოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში ადგილობრივ ტერიტორიულ საზღვრებში საქალაქო რეგულარულ მგზავრთა გადაყვანაზე რეგისტრირებულ მძღოლების დასაქმებას.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული, საკონკურსოდ გათვალისწინებული მარშრუტების ნომრები, მარშრუტზე მომუშავე (სამუშაო დღე) ავტოსატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა, სახეობა და მუშაობის დაწყება-დამთავრების დრო და ინტერვალი

რეგულარული მარშრუტის ნომერი	მარშრუტზე ყოველდღიურად მომუშავე სატრანსპორტო საშუალების რაოდენობა	მარშრუტზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალების სახეობა	მუშაობის რეჟიმი, დაწყება-დამთავრების დრო	ინტერვალი
1	2	3	4	5
N10	1	M3	08:00 – 21:00 სთ	50 წთ.